დანართი 2

რეგ. №:_____; **თარიღი:** „ “ „ “ 20 წელი

დამტკიცებულია

(ივსება წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ)

სემეკის 2025 წლის 11 დეკემბრის N56/26 გადაწყვეტილებით

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

წყალმომარაგების სისტემაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიერთების მოთხოვნის შესახებ

განმცხადებლის საყურადღებოდ!

წინამდებარე განაცხადი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს წყალმომარაგების სისტემაზე მრავალბინიანი საცხოვრებელის სახლის მიერთებას. ამ განაცხადის მიზნებისთვის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს შენობას, რომელიც შედგება მინიმუმ სამი ბინისგან, ხოლო ბინა წარმოადგენს ინდივიდუალური საკუთრების საგანს, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად. თუ ადგილი აქვს წყალმომარაგების სისტემაზე ორზე მეტი ისეთი ახალი მომხმარებლის მიერთებას, რომელიც არ წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, ასეთ შემთხვევაში არ ივსება განაცხადის ეს ფორმა და წყალმომარაგების ლიცენზიატს უნდა მიმართოთ „ორი ან ორზე მეტი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადის ფორმით.

წყალმომარაგების ლიცენზიატი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, თარიღის მითითებით, ასევე რეგისტრაციისთანავე განმცხადებელს გაუგზავნოს წესებით განსაზღვრული ინფორმაცია ტექსტური შეტყობინებით.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წყალმომარაგების ქსელზე მიერთებისას, წყალმომარაგების ლიცენზიატი მიერთების საფასურის გადახდის სანაცვლოდ უზრუნველყოფს სრული ტექნოლოგიური ციკლით მომსახურებას, რომელიც მოიცავს წყალმომარაგების ქსელის მოწყობას შენობა-ნაგებობამდე, ასევე შენობა-ნაგებობაში წყალმომარაგების ქსელის მოწყობისთვის საჭირო ტექნიკური პირობის გაცემას და აღნიშნული ქსელის მონტაჟზე ტექნიკურ ზედამხედველობას, მათ შორის აღრიცხვის კვანძის მოწყობასა და წყალმომარაგების დაწყებამდე ყველა საჭირო სამუშაოს შესრულებას (აღნიშნულ შენობა-ნაგებობაში წყალმომარაგების ქსელის გამართულობის შემთხვევაში). მიერთების პროცესი არ მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელი სახლში არსებული ინდივიდუალურ საკუთრებაში (ბინაში) შიდა ქსელის მოწყობას ან/და მის მოწყობაზე ზედამხედველობას.

წყალმომარაგების ლიცენზიატი ვალდებულია, განაცხადის სრულყოფილების დადგენისთანავე გასცეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობაში წყალმომარაგების ქსელის მოწყობისთვის საჭირო ტექნიკური პირობა. თავის მხრივ, მიერთების მსურველი ვალდებულია წინასწარ წერილობით აცნობოს წყალმომარაგების ლიცენზიატს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობაში სასმელი წყლის წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების შესახებ, ხელი არ შეუშალოს მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველობას და შეასრულოს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე წყალმომარაგების ლიცენზიატის მითითებები.

იმ შემთხვევაში, თუ წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ მიერთების სამუშაოების დასრულების ეტაპზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობაში სასმელი წყლის წყალმომარაგების ქსელი არ იქნება მზად წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებისთვის (წყალმომარაგების დაწყებისთვის საჭირო პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში) მიერთება დასრულდება ამ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობასთან მოწყობილ ჭაში სასმელი წყლის მიწოდების დაწყებით, რა დროსაც წყალმომარაგების ლიცენზიატი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა-ნაგებობამდე მიყვანილი სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემას დალუქავს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში, წყალმომარაგების ლიცენზიატი განაცხადით გათვალისწინებული ობიექტებისთვის ინდივიდუალური მრიცხველების მოწყობას და წყალმომარაგებას განახორციელებს შენობა-ნაგებობაში სასმელი წყლის წყალმომარაგების ქსელის მოწყობის შესახებ ინფორმაციის წერილობით მიღებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ მიერთების სამუშაოების დასრულებისას მომხმარებელს ეგზავნება შეტყობინება. მიერთების სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ პერიოდზე, მომხმარებელს უნდა დაერიცხოს კომპენსაცია.

თუ განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში განმცხადებელი ტექსტურ შეტყობინებით არ მიიღებს განაცხადის რეგისტრაციის თარიღსა და ნომერს პირველ რიგში, უნდა მიმართოს წყალმომარაგების ლიცენზიატის ცხელ ხაზს. განმცხადებელი უფლებამოსილია, მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, ასევე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #19; ვებ გვერდი: www.gnerc.org; ელ. ფოსტა: mail@gnerc.org; ტელ: 2420180; ქოლცენტრის ნომერი: 16216.

განაცხადის შევსების თარიღი „ “ „ “ 20 წელი;

განცხადების ადრესატი:_____.

(იმ წყალმომარაგების ლიცენზიატის დასახელება, რომლის ქსელზეც მოთხოვნილია სამუშაოები)

I. ძირითადი ინფორმაცია:

1. მიერთების მსურველი (განმცხადებელი):_____.

(სახელი, გვარი ან იურიდიული პირის შემთხვევაში მისი სახელწოდება)

2. პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:_____.

3. მიმართვიანობა:

☐ განაცხადი, 0-დან 100-მდე რადიუსში მიერთებაზე;

ან

☐ განმეორებითი განაცხადი, 100-დან 200-მდე რადიუსში მიერთებაზე;[1]

ასევე მიუთითეთ წინა განაცხადის ნომერი:_____ და თარიღი „ “ „ “ 20 წელი;

4. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

4.1. მისამართი:_____.

4.2. განმცხადებლისთვის შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ ალტერნატიულ ნომერზე[2] ან მისამართზე[3]:

_-__-__-__-__ - ძირითადი;

(მობ. ნომერი)

_-__-__-__-__ - ალტერნატიული;

(მობ. ნომერი)

4.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი (სურვილის შემთხვევაში)

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ @ _ _ _ _ _ _ _ _ _ - ალტერნატიული.

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

5. მიერთების მსურველის (განმცხადებლის) საბანკო რეკვიზიტები:_____;

II. ინფორმაცია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შესახებ:

6. დაზუსტებული მისამართი, სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგება:_____;

7. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი (სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგება):_____;

8. მისაერთებელი ობიექტის მდებარეობა (ტერიტორიულ საზღვრებში): ☐თვითმმართველ ქალაქში ან ☐სხვა მუნიციპალიტეტში; ⓘ

9. განაცხადით მოთხოვნილი აბონენტთა (ინდ. აღრიცხვა) საერთო რაოდენობა:_____;

10. საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო აბონენტთა რაოდენობა:

10.1. საყოფაცხოვრებო (ჯამურად):_____;

10.2. არასაყოფაცხოვრებო (ჯამურად):_____.

11. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული წარმადობა: _____;

12. მიერთების ტიპი: ☐ სრული (სასმელი წყალი და წყალარინება); ☐ მხოლოდ სასმელი წყალი; ან ☐ მხოლოდ წყალარინება.

მოთხოვნილი მიერთების ტიპის შესაბამისად ასევე, შეავსეთ:

12.1. სასმელი წყლის წყალმომარაგების ქსელზე მიერთება: მოთხოვნილი მილის დიამეტრი:_____;

ან/და

12.2. ნაგებობასთან მოწყობილ მიმღებ ჭაში, ამ ნაგებობიდან შემსვლელი წყალარინების მილის მოთხოვნილი დიამეტრი:_____;

---

[1] აღნიშნული ველი შეიძლება შეივსოს განმეორებით მიმართვის შემთხვევაში, თუ წინა განაცხადი დახარვეზდა მისაერთებელი ობიექტის 100მ-დან 200მ-მდე რადიუსში მდებარეობის მიზეზით.

[2] აღნიშნული ნომრიდან *303# კოდის აკრეფით მომხმარებელს შეუძლია მობილური სერვისებით ინტერაქტიულად სარგებლობა (სადაც, რეალურ დროში შეძლებთ ელ. ქვითრის და მიმდინარე ბალანსის ნახვას, ასევე წყვეტის დაფიქსირებას, არასასურველი ნომრის წაშლას და სხვა).

[3] მითითებული ელ. ფოსტა გამოყენებული იქნება, როგორც საკონტაქტო საშუალება.

13. სასმელი წყლის და წყალარინების მიერთების მოთხოვნილი დიამეტრები შეესაბამება მიერთების საფასურის შესაბამისი პაკეტისთვის განსაზღვრულ დიამეტრები:ⓘ

13.1. ☐ დიახ;

ან

13.2. ☐ არა და მოთხოვნილი პარამეტრებით მიერთების ტექნიკური აუცილებლობის დასაბუთება მოცემულია დანართის სახით.

14. წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების საფასური შეთავაზებული პაკეტის მიხედვით[4]:_____;

15. მისაერთებელი ობიექტი მდებარეობს სანიტარული დაცვის ზონაში: ☐ დიახ; ან ☐ არა.

16. ივსება მშენებარე (ექსპლუატაციაში მიუღებელი) ობიექტის შემთხვევაში - მისაერთებელი ობიექტი მოცემულია განაშენიანების რეგულირების გეგმით: ☐ არა, ან ☐ დიახ, დადებითი პასუხის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ, გეგმაში ობიექტის საიდენტიფიკაციო რეკვიზიტები:

III. ძირითადი მოთხოვნა:

17. გთხოვთ, წინამდებარე განაცხადში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის N32 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ (შემდგომში - წესები) დადგენილ ვადაში განახორციელოთ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წყალმომარაგების სისტემასთან მიერთების სრული ტექნოლოგიური ციკლით მომსახურებას, რომელიც მოიცავს წყალმომარაგების ქსელის მოწყობას შენობა-ნაგებობამდე, ასევე შენობა-ნაგებობაში წყალმომარაგების ქსელის მოწყობისთვის საჭირო ტექნიკური პირობის გაცემას და ამ ქსელის მონტაჟზე ტექნიკურ ზედამხედველობას, მათ შორის აღრიცხვის კვანძის მოწყობასა და წყალმომარაგების დაწყებამდე ყველა საჭირო სამუშაოს შესრულებას (აღნიშნულ შენობა-ნაგებობაში წყალმომარაგების ქსელის გამართულობის შემთხვევაში).

18. ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორეს და მასში ასახული პირობების შესრულების შემთხვევაში, შევასრულებ წესებით და აღნიშნული განაცხადის საფუძველზე გაცემული ტექნიკური პირობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

IV. დამატებითი ინფორმაცია

19. მესაჭიროება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა: ☐ დიახ ან ☐ არა.

20. წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ შეტყობინების გაგზავნის ფორმა: ☐ წერილობითი; ან ☐ ელექტრონული.

21. განაცხადში მოცემული ჩემი პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი:

ა) გამოყენებულ იქნეს სასმელი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით:
☐ დიახ; ან ☐ არა;

ბ) მიეწოდოს ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის სექტორში მომსახურე საწარმოებს, სადაც, განაცხადში მოცემულ მისამართზე, რეგისტრირებული ვარ მომხმარებლად და გამაჩნია აბონენტის ნომერი:
☐ დიახ, ან ☐ არა;

1) _____ ; 2) _____ .
(მიუთითეთ ენერგეტიკული საწარმო) (მიუთითეთ ენერგეტიკული საწარმო)

22.

V. თანდართული დოკუმენტაცია

23. ☐ მიერთების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, გადახდილი თანხა სიტყვიერად:_____.

24. ☐ საპროექტო ორგანიზაციის მიერ დამოწმებული, მისაერთებელი ობიექტის პროექტის წყალმომარაგების ნაწილზე ახსნა–განმარტებითი ბარათი (რომელიც დამუშავებულია დამტკიცებული პროექტის არქიტექტურულ–სამშენებლო ნაწილის მონაცემების საფუძველზე);

---

[4] მიერთების საფასურის ოდენობა განსაზღვრული უნდა იქნეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული (დადგენილი) მისაერთებელი წარმადობის შესაბამისად.

25. ☐ აბონენტების მიხედვით დაზუსტებული მისამართები და მოთხოვნილი წარმადობები - შევსებული დანართი N1-ის მიხედვით;
26. ☐ მიერთების მსურველის მიერ სასმელი წყლისა და წყალარინების დიამეტრების წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების საფასურის შეთავაზებული პაკეტთან შეუსაბამო/განსხვავებული დიამეტრების მოთხოვნის შემთხვევაში, ობიექტის მოთხოვნილი პარამეტრებით მიერთების ტექნიკური აუცილებლობის დასაბუთება;
27. ☐ მისაერთებელი ობიექტის ტერიტორიაზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
28. ☐ სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში).

განმცხადებლის ხელმოწერა:_____

აბონენტების მიხედვით დაზუსტებული მისამართები და მოთხოვნილი წარმადობები

N	აბონენტის დაზუსტებული მისამართი	საკადასტრო კოდი	აბონენტის (გადახდაზე პასუხისმგებელი პირის) სახელი, გვარი ან იურიდიული პირის სახელი	პირადი ნომერი ან იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი	მიერთების ტიპი	მოთხოვნილი მილის დიამეტრი*	მხოლოდ წყალარინების მიერთების მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე მიუთითეთ სასმელი წყლის წყალმომარაგების ქსელზე არსებული მილის დიამეტრი ან წყლის მიღების სხვა წყაროს შემთხვევაში, ამ წყაროდან მისაერთებელ ობიექტზე შემსვლელი მილის დიამეტრი
1.					☐ სრული (სასმელი წყალი და წყალარინება); ☐ მხოლოდ სასმელი წყალი; ☐ მხოლოდ წყალარინება.		
2.					☐ სრული (სასმელი წყალი და წყალარინება); ☐ მხოლოდ სასმელი წყალი; ☐ მხოლოდ წყალარინება.		
3.					☐ სრული (სასმელი წყალი და წყალარინება); ☐ მხოლოდ სასმელი წყალი; ☐ მხოლოდ წყალარინება.		
4.					☐ სრული (სასმელი წყალი და წყალარინება); ☐ მხოლოდ სასმელი წყალი; ☐ მხოლოდ წყალარინება.		

* **შენიშვნა:** მოცემულ შემთხვევაში, მიერთების საფასურის ოდენობა არ განისაზღვრება დანართი N 1 - ის ცხრილში მოცემული „მოთხოვნილი მილის დიამეტრის“ სვეტში არსებული მონაცემების დაჯამებით, არამედ სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული (დადგენილი) მისაერთებელი წარმადობით.